საქართველოს მთავრობის

დადგენილება №488

2025 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„არქიტექტორებისა და ინჟინერ-მშენებლების სერტიფიცირების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 აპრილის №134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 144-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, „არქიტექტორებისა და ინჟინერ-მშენებლების სერტიფიცირების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 აპრილის №134 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/04/2024, 330090000.10.003.024527) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 6.** ამ დადგენილების მე-2 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ იმ არქიტექტურული/კონსტრუქციული პროექტის ცვლილებაზე (კორექტირებაზე), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით შეთანხმებულია 2026 წლის 1 სექტემბრამდე.“.

2. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ დადგენილების მე-2 – მე-6 მუხლები ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**